

გ მ ყ ი მ ს ი

ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი 8 1 6 9 3 0 ფ ი ლ ე ბ ა .

უმაღლესი პირნება.

უქაში მისი ივანერატორებითი უდილებულესობისა,
რუსთის თვით მაყრობელისა, უწმადესი და უძრა-
თებელესი სინოდისაგან,

სინოდის წევრის, საქართველოს ექსარ-
ხოსის, მაღალ უკოლად უსამღვდელოესობის
პალლადის ქართლისა ჭ გახეთის მთავარ-
ეპისკოპოსისადმი.

უქაშისა მებრ მისი იმპერატორებითი უდილებუ-
ლებისა, უწმ. და უქართველესი სინოდი
მოისმინა უ. სინოდის ობერ-პრიურორისაგან წარ-
მოდგენილი, 4 მარტიდან № 212, სამოსწავლო
კომიტეტის ქურნალი, წარმოდგენილი თქვენი უსამ-
ღვდელოესობისაგან, რომელშიაც შუამდგომლობთ:
1) ქუთაისში იმერეთის საქალებო ეპარქიალური
სასწავლებლის დარსებას იმ წესით, რა წესიც არის
ნაჩენები ეპარქიალურ საქალებო სასწავლებლის
წესდებაში და უწმადესი სინოდის უქაში, 14 მაისი-
დან 1872 წ. № 25, იმ განსხვაებით, რომ ამ
სასწავლებლში ადგილობრივი მოთხოვნილების და-
ლით, შემოღებულ უნდა იქმნეს ქართული ენის
სწავლება და დაწიშნოს ამ საგნის მასწავლებელს
კვირეული ათი გაკვეთილისათვის სასყიდელი, ამასთან
თქვენი მეუფება დასძნის, რომ ამ სასწავლებლის
მოსათავსებლად დანიშნულია ადგილი, რომელზედაც
არის ქვითკირის ეკვლესია წმ. სამების სახელზე და

ორ სართულიანი ქვეს შენობა და სასწავლებლის
შესანახავად იმექონებიან ადგილობრივი ეპარქიალური
საშუალებანი, და 2) რათა გამოთხოვნილ იქმნეს
უმაღლესი ნებართვა ეწოდოს ამ სასწავლებელს იმე-
რეთის ეპარქიალური გამოწილის საქალებო
სასწავლებლი, სახსოვრად იმერეთის ეპისკოპოსის
გაბრიელის 30 წლის სამსახურისა იმერეთის ეპარქიაში
და თავისი საშუალებიდან 5000 მანათის შეწირვისა
გამო ამ სასწავლებლის სასარგებლოდ.

ბრძანება: მიყელეთ რა სახეში, რომ სამ-
კლასიანი ეპარქიალური საქალებო სასწავლებლისა-
შეს: უკეთ არის შენობა ქ. ქუთაისში და შესანახა-
ვადაც უცად არის ადგილობრივი ეპარქიალური საშუ-
ალება, უწმიდესშა სინოდმა, სავოწავლო კომიტეტის
დასკვნის მოსმენია შემსება, განაწილება: ნება მიყელე-
თქვენს მეუფებას გახსნას ქ. ქუთაისში სამკლასიანი
ეპარქიალური საქალებო სასწავლებელი მოსამზადე-
ბელი კლასით თქვენს უსამღვდელოესობის წარმო-
დგენილობაში მახსენებულს საფუძველთა ზედა, იმ
პირობით კი, რომ არა საგალდებულო საგნებისაგან
სრულიად გამორიცხოს შუალება, ნებეცური და ფრან-
ცუხული ენები, როგორც სრულებით გამოუსადე-
გარნი მაღალი სამღვდელოებისათვის და რომ
ნაცვლად ჰყელალიკისა ასწავლიდენ მხოლოდ დიდა-
კლიკას; რასათვისაც ეგზანება თქვენი მეუფებას
ჯეროვან გან ყარულებათა მოსახლენად უქაში. მარტის
21 დღესა 1892 წელსა.

ობერ-სეკრეტარი გავრიდეთ და

სეკრეტარი გ. სამურავე

შრატი იმერეთის ეპარქია დური გაბრიელის საქალება
სასწავლებლისა.

სასწავლებლის უფროს ქალს (იგვენა აღმზრდელი მესამე კლასის მოწაფე ქალებისა)	500 მან.
სახელმწიფო ბინით	360 »
2 აღმზრდელ ქალთ, სახელმწიფო ბინით (თითოეულს 180 მანეთი წელიწადში)	360 »
ერთ ამ უკანასკნელ თავანს წიგნთ-საცეის მართვისათვის	25 »
მოსამზადებელი კლასის მასწავლებელს ყველას საგნების სწავლებისათვის *)	400 »
სჯულის მასწავლებელს	350 »
იმასვე ინსპექტორის თანამდებობის აღმზ- რდებისათვის	150 »
რესული ენისა და მეტყველების მ.სწავ- ლებელს	350 »
ქართული ენის მასწავლებელს	350 »
არითმეტიკის მასწავლებელს	350 »
გეოგრაფიის »	170 »
სამოქალაქო ისტორიის მასწავლებელს	210 »
ფიზიკის მასწავლებელს	70 »
პედალოლიკის »	35 »
მასწავლებელთ { წერისა	120 »
და გალობრისას	120 »
საქმისმცადებელს	100 »
ეკონომის	150 »
სასწავლებლის სახლის შესაცოცლად, გასათბობად, გასანათებლად, წყლისა და მოსამსახურეთათვის	650 »
კანცულარიის ხარჯი	50 »
წერიმალი და მოულოდნელი ხარჯისათვის	50 »
სრულიად 4665 »	

შენიშვნა. 1) აღნიშნულ საგნებს გარდა
მოსწავლე ქალები ვალდებული არიან ისწავლონ
კლასს გარე შე დროს ჭრა, კერვა, ქსოვა და საზო-
გადოდ შინაური ხელსაჭრარი, აგრეთვე შიხაური
ოჯახობა; ამ საგნების სწავლებისათვის მასწავლებელს

*) შრატის თითო გადამილზე საზოგადოთ დაწესებულია
35 მანეთი.

ერიშება სასწავლებლი ადგალი ითი ეპარქიის უფრო-
სისაგან, სასწავლებლის რჩევის მოხსენების შემდეგ;

2) მოსწავლე ქალები სცხოვრებენ ან საზოგადო
ბინებში, რომელიც აღშენებულ იქმნებიან თვეთონევე
სასწავლებლებში, ან მშობლებთან, ან კეთილ სა-
მედო პირებთან, რომელთაც იურისტ მშობლები;

3) საზოგადო ბინებში საკუთრებულად მიიღე-
ბიან, სასწავლებლის რჩევის მიხედვით: ა) 5 ფრიად
ლარიბი ობოლი ქალი ლარიბ მღვდელ-მოსამსახურეთა
გადაუხდევინებლად ფულის ხარჯისა და სწავლისა-
თვის; ბ) 5 ობოლი ქალი სამღვდელო-საეკულესიო
მოსამსახურეთა, რომელთაგან თითოეულმა უნდა შე-
მოიტანოს წელიწადში 50 მ., სხვა ქალებმა აღგი-
ლობითი ეპარქიის სამღვდელო-საეკულესიო მოსამსა-
ხურეთა უნდა შემოტანონ სრული ხარჯისათვის
120 მ., ხოლო ნახევარი ხარჯზე — 80 მანეთი; მოს-
წავლე ქალებმა სხვა წოდებათა და სხვა ეპარქიის
პირთა, აგრეთვე ადგილობითი სასულიერო პირთა,
რომელიც არ იმყოფებიან საეპარქიო სამსახურში —
სრული ხარჯისათვის 150 მან. წელიწადში, ხოლო
ნახევარ ხარჯზედ 100 მან.

4) სწავლის უფლებისათვის ყველა კლასებში
დაწესებულია წელიწადში 30 მან. ყველა სავალდე-
ბული საგნებისათვის, ეს გადასახადი ფული ხდებათ
მარტი მოსიარულე მოსწავლე ქალებს — ერის წოდე-
ბისას და სხვა ეპარქიის პირთ, აგრეთვე ადგილობითი
ეპარქიის სასულიერო პირთ, რომელიც არ იმყო-
ფებიან საეპარქიო სამსახურში; ეს გადასახადი ფული
შემოტანილ უნდა იქმნეს სექტემბრის და მარტის
თვეებში ყოველს წლობით და უკანვე არავის არ-
ეძლევა.

5) დანარჩენში სასწავლებული უნდა იქმნეს
წარმოებული თანახმად უმაღლესად დამტკიცებულის
ეპარქიალურ სასწავლებელთა წესდებისა.

მეტეორისი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან გეთილმან სული თვის
დაჭალვის ცხოვართაფის. (იოა. 10—11).

გვიგვი ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იქნას სიხარული
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა უოველი მაურადლი და ტვირთ-მძიმენი
და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 8

1883-1892

30 აპრილი.

შინებარსი. ოფიციალური განყოფილება: უმაღლესი ბრძანება.—შტატი იმერეთის ეპერქიალური გაზრიელის
საქალები სასწავლებლისა.

საღვარულო განყოფილება: მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა,—მეცნიერების შესახებ.—ანდრია პირველ-
წოდებული (ისტორიული პოემა) —ახალი ამბები და შენიშვნები.

სახელმძღვანელო და საყურადღებო ცნობათა განყოფილება: დარიგება მხედველობის შენახვასა და თვალების
მოვლაზე.—განცხადებანი.

გებდომ რამ გამოჰყება, იმას მებაღური იქვე წყალში
ჰყორის. მართალი რომ სთევას კამა, ეს შედარება
მანი ც-და-მანი ც ურიგო არ არის. ეხლანდელი დროის
ეურნალ-გაზეთებში ბევრი რამ ისეთები იძექდება,
რომელიც არც ლეთისა და არც კაცის. მთელი
წლის განმავლობაში ზოგიერთ გაზეთ-ეურნალში
ორ-სამ სტატიას თუ შეხედებით რიგიანს და სასარ-
გებლოს, თორებ სხვა სულ «ყბად ასაღები, წყალ
წასაღები»—ა, როგორც თვითონ აცხადებენ ხოლმე
ზოგიერთი რედაქტორები!

ეურნალ-გაზეთების რიცხვი დღით-დღე მატუ-
ლოს. ბეჭედითი სიტყვის სარგებლობას თან-და თან



იქნებს საზოგადოება. ეს კარგი და მოსაწონი საქმეა ყველასათვის. მაგრამ ზოგიერთ გამოცემათა რედაქტორი, გამოცემის უნდა ესთქვათ, არა სასურველ საქმიელს ჩადიან თავიანთ გამოცემათა გასავრცელებლად და მკითხველთა გასამრავლებლად. ზოგი რედაქტორები მარტო იმას ცდილობენ, რომ ფულები შეკრიბონ და თავის გამოცემის პროგრამმის აღსრულებას არ გიდევენ. ეს ბატონები არ ეჭერო, სახალისოა თუ არა მათი გამოცემის კითხვა, იცის თუ არა მკითხველმა ის ენა, რომელზედაც გაზეოთ გამოდის, ანუ ესმის მკითხველს, რაც ამ გაზეობში იძეკდება? შენ ფული გავზავნე რედაქტიაში და გაზეოთ, თუ გინდ, მიღებისათვალზე წყალში გადაგდე, ან დასწვრ.

მეორე რიგის ეურნალ-გაზეობის გამომცემელი სულ სხვა ხერხს და მოქმედებას ჩადიან. ყველას მოეხსნება, როგორ მალე მიღის დრო. გაზეოთი, მაგ., დღიურია, რით გინდათ, რომ აავსოთ გაზეთა ყოველ დღეს? არც შეიძლება უკან დაიხარ. შზა ნომერი უნდა გაუვზავნო უსათუოდ მკითხველებს. ამიტომაც არის ხშირად, რომ ყოველი დღის შასალ ა გაზეთისა წასკითხად არა ღირს! თუ იდა ხანედას-თანა ყმელები ჰყავს რედაქტიას, კიდევ არა უშავს-რა, იოლად წავა!.. ამისთანა მწერლებს მარტო გუკიჯულა სანაძეზე შეუძლიათ დასწერონ ათი გაჭიმული და უაზრო სტატია. რუსულ გაზეობშიაც ბეჭრა მოთხრა-ბები და კორრესპონდენციები იჩქვევა. ჩერქეზებია თავისული მწერლები თავისურად გადააკეთებენ ხოლმე ამ სტატიებს, რუსულ სახელებს და გვარს გადააქართულებენ და თავის ნაწარმოებათ ბეჭვენე. ნიაღავ ამისთანა და სხვა უაზრო სტატიებით აკეთებენ გაზეთს და საინტერესოს და სასარგებლოს არას დაგიუვენ. ისინი ცდილობენ, რომ სტრიქონების რიცხვი მომცემული იქნეს და ამის და-გვარად გრაშება მიიღონ, თორებ სხვა ჯავრი მათ არ აწერებსთ. ამისთანა ბაზონების უმნიშვნელო ნაწერები ხშირად თავს აძებრებს ორგორუ მკითხველებს, ისე რედაქტორებს, რომელნიც ბოლოს თავიდამ იშორებენ ამ ვაჭირონებს, მაგრამ ერთი რედაქტიონგან გაძევებულნ ი, მეორე ადგილს ეჩირებიან და იწყებენ ჩხაბნას, სანაც იქაც არ შეიტყობენ მათი ვონების და დიდების ავლა-დიდებას...

არის კიდევ ერთი ხერხი და ლონე, რომელსაც ხმარებენ ზოგიერთ დღიურ გამოცემათა რედაქტო-

რები. ეს ხერხი და ლონე გახლავსთ ახალ-ახალი ამბების განყოფილება გაზეობში. გაჭირების დროს ეს განყოფილება ძლიერ უწყობს ხელს გაზეოთის გაესტაბა. ამ განყოფილებაში სწერე, რაც გნებას. ამ განყოფილებაში ხშირად კითხულობთ: „კუკის ხილზედ ორი კაცი წაიჩხუნენ, მაგრამ პოლიციელმა მალე გააზავა ისინი და უბედურება არ მომხდარა». «ბათუმში გამოფილენ სომეხთა პატრიარქის აღსაჩევად გამოგზავნილნი დელეგატები და ბათუმიდვან თბილისში ჩამოვლენ». «სილადილამ გვშერენ, რომ იქ უბედურება მოხდა რაღმე, ორ კაცს მუშაობის დროს ჩხუბი მოუვიდა, მაგრამ მალე გააშველეს» და სხვა ამისთანები...

ეს კიდევ არაუერია. ამისთანა ახალი ამბები თუ სასარგებლონი არ არიან მკითხველთათვის, ვნება მაინც პრაეციას ეძლევა მათვან. უფრო სამწუხაოო ის არის, რომ ზოგიერთი გაზეობის გამომცემლები ყველაგრის ცოდნების იჩენებენ და ხშირად ისეთ საგნებზე იწყებენ წერას, რომლებისაც მათ არაფერი არ გაეგებათ. რა მოსაწონია, როცა სამეურნეო გაზეოთი პოლიტიკაზე იწყებს წერას, საპოლიტიკო გაზეოთი — საოხუნჯო საგნებზე და საოხუნჯო გაზეთი კი ღვთის-მეტყველების საგნებზე გართაეს საუბარს მკითხველებთან! რასაკირველია, არ არის მოსაწონი, რადგან გაუგებარს საგნებზე მათი ნაწერი ყოველთვის გაუგებარი და უაზრო იქნება მკითხველებისათვის.

ზოგიერთმა საძრო ურნალ-ცხრილებმა მიმართ სასულიერო გამოცემათა და მათთაც იწყეს წერა დოლმატებზედ, ჩვენი სარწმუნოების უმთავრეს საგნებზე. ეს გაზეობის მეთაური სტატიებში ხშირად სწერენ ქრისტეს შობაზე, მას ვნებასა და აღდგომაზე. მოიყვანენ წმ. სახარებიდამ რომელიმე ადგილს, რა-საკირველია, იმ ადგილებს, რომელიც მათთვის მოსაწონია და გაჭირულებულების წერას. ამტკიცებენ, რომ იქვთ ქრისტე ეკვთ ჭეშმარიტებისათვის, როგორც გალილეი, იოან გუსი, ცეინგლი და სხვა გამოჩენილი რეფორმატორებით. ერთმა გაზეოთა არ რა სოქვა: «რასაკირველია, იქვთ ქრისტეს სწავლა მაღლა სდგას კონფუცის სწავლაზე» და სხ... სწორეთ დასაფიქრებელია ზოგიერთი ეხლანდელი საერო გაზეობის მსჯელობა ჩვენი სარწმუნოების საგნების შესახებ....

საერო გამოცემათა ცენტურას დიდი ხანია ნაბრძანები აქვს, რომ ნება არ დართოს დასაბეჭდად

იმისთანა სტატიებს, რომელიც სარწმუნოების და დოლარების საგნებს შექმნიან, ვიღებითის სახულიერო მართლობისაგან არ იქნებიან იგინი ნება დართული. მაგრამ ცენტორებს, შეიძლება, აღარ ასწოვდოთ ეს ბრძანება და ისინიც ასე ალევილად აძლევენ ნებართვას მიმისთანა სტატიების ბეჭედისას საერთო განვითებში.

ხშირად კითხულობთ ზოგიერთ საერთო გაზეთებში მეთაურ სტატიებს და გიყვირსთ, რომ საერთო გაზეთი დადის გულმრავებით შესდგომას სარწმუნოების და სამღვდელოების საქმეებს. ყოველივე კა გრეკორისთ და ამბობთ: მადლობა ღმერთს, რომ საერთო გაზეთებიც მიხვდნენ სარწმუნოების დიდ მნიშვნელობას და სამღვდელოების წოდების მაღალ დანიშნულებას. მაგრამ ამავე გაზეთის ფელიერობაში თქვენ ვე კითხულობთ სასულიერო წოდების შესახებ შემდეგ საოცარ, ხეპრულ სიტყვებს ერთი ვილაცა მაჩხანელისა. აი მოისმინეთ, რას სწერს ეს ვაკატონი:

«ხელ-მოკლე გლეხის უმთავრესს წლიურს შემსავალს და იმის ერთად-ერთს იმდეს ცხოვრებისას შეადგნის: სულადი და ღვინო. ამ სულადმა და ღვინომ უნდა აცხოვონ წლის-წლობაშის მთვალი იმისი ოჯხები; ამ სულადმა და ღვინომკე უნდა გაისტუმროს იმისი დღე-ობაც, ხითლობაც, ნიშნობაც, ქართვილიც, ქელებაც, წირვაც, ჰიგიც, საღმრთოც, ბართიც, მოვალეც, მე-კლეც, მუშაც, მოჭამაგირეც, ფლატიას ფულიც, მღვდელიც, მასწავლებელიც, და დაზაქიც.

რა უნდა იფიქროს მკითხეველმა ამისთანა ხეპრულ და სულელურ მოაჩრდე სწერალზედ? რა უნდა იფიქრო იმ მწერალზედ, რომელიც სამღვდელოებას სოფლის დალაქებს, ჩარჩებს, მარტორუზებს, ვაჭრებს და სირაჯებთან ერთად ხალხის სისხლის მწოველად და წურბელად უწოდებს და არავითარ განსხვაებას არა ხედავს სამღვდელოებაში?

ისეთ ამავე უზრდელი და ხეპრე მწერლის გონების ნაწარმოები სამღვდელოების შესახებ:

როგორც ვიცით, უკეთესებ ასლო დგანან ხალხთან მღვდლები. ესლა ვიგითხოთ, რას აგეთგებენ სოფლის მღვდლები, ასრულებენ თვალითს დადსა და წმ. მოგადეობას: სწავლებენ, როცა ვაღდებულნი არიან? კითხულების ესკადამი ისე გარეგნით, ხათლად და გამნებით, რომ ხალხს სასოფა და უბადონ და ცოდნილი მღვდლის გარებულებას გამოიყენებიან! არ მოიძენებან, იმათზე დეტალების მიზანით... საჭედო შიაც! არ მოიძენებან, იმათზე დეტალების მიზანით გერავინ გასესხებას, იმათზე დეტალების უკურაღებელ გუჯგრალობას საქელ-მოქმედო სა-შემადგენების და მწერლობის შესახებ გერავინ გამოიხსნება და იმათზე დეტალების მიზანით გერავინ გარებულებას შეასრულება... ესლა თქვენ თვითონ წარმოადგინეთ: მიკიდებით რომ ასეთი იყვნენ, იმათი მრეკლი, ბლადობ-ნები, მთავრები, დიაგნები, სტაციონი. ტები და მხატვები რადანი იქნებიან! გაი ჩვენს ქვეყნებს იმათი ხედში! თუმცა-კი არც რესერი დგებს და გადმოდის მღვდლელთაგან მონაქმდის გეთილით. დასამტკიცებლად ამისა, აა რას ამბობს სხვათ, მორის ს. ა. რახისები თავისს სტატიაში: «Замѣтки о сельской школѣ», რომელიც გამოცემულია ქწ. სიხლდის ობებროგორის გახარგულებით: «да, священники наши плохи. Наше духовенство чахнетъ и гибнетъ, гибнетъ немедленною позднею смертью, похожею на самоубийство». უფრო ზედამდგრად ესების მედები ანდობები ახსათებენ თავის სამღვდელოებას: читаеть: да будетъ воля Твоя, а думаетъ: какъ бы моя! Три попа, а заросла въ церковь тропа».

დღეს ცხოვრების აბგაზებაზე შექმნა და უცდიდინობის მთავრობულებისა? სათხოებას უწევენ დატაქებს მრეკლს მასაცემს, რომ საქმით დასახულონ ხალხს გუჯერეთისას სამართლის გეთილზე-ობას მრეკლმაც მაშაბოს და როგორიც მღვდლია—ისეთი ერთი იუსტი? არ და ამას უკარი არა! ზარის ხმას მაშინ გაიგონებთ, როცა ტახლები და მიცვალებულია; ისეთი გაგებარ ცხლი-ცხლუფით კითხულობებ ეგა-კლესამი, რომ თვით დადი დაინგვისტირებ გერას გამო-არგვებს იმათის ფაცი-ფაციას ხუნი უღილებან; უქადაგებებ მხალოდ იმას, რომ მღვდლის შატავისცემა იცოდეთ და მეტობით მოგვცემდეთ ფულსაცა და შურსაცაო; იესო ქრისტესუბან სათხოების ბადად უწევალ დატაქებს მისაცემში გზითებს უგენებენ, სახლს აა უნათლავენ, მარილს აა უგურთხებენ, მკვდარს აა უმარხსავენ და კინ მოსთველის გიჩებ, აა შეს დღეს აა უკეცებ; და რაც შეეხება იმათს ზენერაციებს უფაქცეცებს, საზოგადოდ ასაფურთლები უსაფრთხოებზედ 50 გრადუსით მეტნა არიან გასაკიცხის უფაქცეცით და აა თათა: იმათზე წმიდად ღვინოთ საესე სტაქნებს, ჯამებს და ჭანებს ეკრავინ გამოსწრებას, იმათზე დეგახედ გერავინ შეი-გინება, თუ კულ მოსულები არიან, იმათზე სერხანი თსტატება შერისა და სამდიდრის ძიებაში თვით როტ-შილდის „საჭედო შიაც“ არ მოიძენებან, იმათზე დეტალების მეტ სარგებლით ფულს გერავინ გასესხებას, იმათზე დეტალების უკურაღებელ გუჯგრალობას საქელ-მოქმედო სა-შემადგენების და მწერლობის შესახებ გერავინ გამოიხსნება შეასრულება... ესლა თქვენ თვითონ წარმოადგინეთ: მიკიდებით რომ ასეთი იყვნენ, იმათი მრეკლი, ბლადობ-ნები, მთავრები, დიაგნები, სტაციონი. ტები და მხატვები რადანი იქნებიან! გაი ჩვენს ქვეყნებს იმათი ხედში! თუმცა-კი არც რესერი დგებს და გადმოდის მღვდლელთაგან მონაქმდის გეთილით. დასამტკიცებლად ამისა, აა რას ამბობს სხვათ, მორის ს. ა. რახისები თავისს სტატიაში: «Замѣтки о сельской школѣ», რომელიც გამოცემულია ქწ. სიხლდის ობებროგორის გახარგულებით: «да, священники наши плохи. Наше духовенство чахнетъ и гибнетъ, гибнетъ немедленною позднею смертью, похожею на самоубийство». უფრო ზედამდგრად ესების მედები ანდობები ახსათებენ თავის სამღვდელოებას: читаеть: да будетъ воля Твоя, а думаетъ: какъ бы моя! Три попа, а заросла въ церковь тропа».

ღმერთო მოგვხედე, ღმერთო გვიწამდე და გან-
გვარდე მაკა აკულებს.

რასაკვირველია, კერ გიტევი, რომ უკედა მღვდლე-
ბი არა-მღვდლები იჯენებ და აღარ მოიპოვებოდეს მათ
შორის ისეთი სელით კეთილია, გულით პატიასანი და
გონებით ბრძენი, არა, როგორ არ მოიპოვებიან, მაგ-
რამ ასში ერთიც ძლიერ და მას ზღვაში წერთს რა შე-
უძლიან? 99-ტი რომ ანგრევდეს, ერთი იმათს ნანგრევს
როგორდა ამენებს? დიდად, დიდად დასავაჭრებელი
და სამწუხაოთა, როდესაც ზენერიკ ბურჯების მგვარ-
ად აშენების ბადვად ხალხის გულ გონებაში, დღით-
დღე ძირს უთხრის და ანგრევებ ხალხის საეგოილო
რწმენის თვით ისინივე, ვინც გადადებულია რიან შე-
დაზე უწინარეს იმათ უწინამდგრაონ, უქადაგონ, ჩაგო-
ნონ და ახწავლონ უკიც ერს მხერია, გარჯოლობა,
კეთილ-ზენება, მმოას, ერთობა, სიეკარული, სიმართ-
ლე და პატიასნება; მაგრამ სად არის, სულ სხვას კე-
დავთ. ა თუნდა მაგალითად: განა მისატევებდებია, რომ
მღვდლი, მოძღვარი კეთილ-ზენებიას, სამაგიტინოში
იღდეს თასეუტების გრძებასთან და „ურა“ ძახლით
იქაურთმას იღდებენ! გრძება-დაკარგული? სასაფსოდ
კაცის ჭიხით გრძები ჩადეწოს და ბოლოს ფულით
მოწმები შეისულებას და ტეუგულად დააფიცეს სამაჭავა-
როში ფარასა და სახატებაზედ, რომ მღვდელს მაგი-
სათვის ხელიც არ უხდიათ? დადაც გრძალუარია შეგ-
ნებულის ადამიანისათვის ასეთი სამწუხაო მოვლენანი,
მაგრამ, ჩვენდა სამარცხევინდ, უფრო ამაზედ მეტი
მოსახლეებულს მოიხალებთ მღვდელსა და მოეგდეს შო-
რის. განათლებულ მისიანერებს აცდენენ; სექტანტებსა
და მაჭმადიანებს უზაგნიან და მისიანერებია კი დღეს
ჩვენს კრისა და მღვდლების კაჭირებათ, ღმერთს გე-
ფიცებით.

სომეხთა აწ უკე განსევნებულმა პატრიარქმა
მაკარიმ მისწერა სომეხთა ყველა რედაქციებს, რომ
მათ სამღვდელო წოდების შესახებ გასაკიცხი არა
დაებეჭდათ რა. სომეხთა ყველა რედაქციებიამ ბრძანე-
ბას მტკიცედ ასრულებენ დღესაც და არცერთი სომხუ-
რი გამოცემა არ იკადრებს, რომ ერთი ვინმე უპატიოსნო
ტერტიკოს საქონლის გამო მოელი სომხის სამღვდე-
ლოება ლანძლოს. ილია ჭავჭავაძის გამოცემას,
„ივერია“-ს თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია, რომ
საქართველოს მთელს სამღვდელოებას, რომელსაც
ერთის მხრით განიავებას და გასრესას ემუქრებიან,
ცეცხლი შეუკიდოს და სამარე გაუთხაროს.

ნაცელად დახმარებისა, თანაგრძნობისა და შემ-
წეობისა მტრის სასიხარულო საქციელს ჩაღის
«ივერია»; იგი ცდილობს მალე ამოფხროს ხალხის
გულიდამ ის პატივესცემა, რომელიც ხალხს დღემდის
კილევ ჩარჩენია გულში სამღვდელოებისაღმი. აფერუშ
«ივერიის» პატრიოტებო, პუბლიცისტებო, საქართვე-
ლოს აღმდგნელებო!.. რასაც არა გაწერო რომე-
ლიმე გარემოებათა გამო, ეს თვითონ იგულისხმე,
პატივცემულო მკითხველო და მიხედი...

მაჩხანელი სწორეთ იმ პატრიოტების დასს უნდა
ეკუთხნოდეს, რომელსაც ეკუთხნოდა ერთ დროს
ზე—ოვი და უტუ—ული და რომელთა ტიტინმა და
პატრიოტობამ ყველა ქართველის გული შეაწუხა. უტუ—ული მაინც ერთი ბებრის ჩაგონებით კინაღამ
ჰკუაზე შეიშალა ჩვენს წინააღმდეგ. ბოლოს იარა,
იარა და ხ—ში ამოყო თავი. აქ თანამდებობით და
თვითი აღგილით დაჯილდოებულმა ღილი ლვაწლი
გამოიჩინა სასწავლებლის პროგრამმიდამ ქართული
ენის გაძევების მსჯელობაში... ხებ—ეი ხომ ქარ-
თველობაზედ უარყოფისათვის «ჩინოვერიკალ» განადა...

მაჩხანელს სწორეთ სირაჯხანაში ჰქონია თავის
თავი. გაუგონია, რომ პუბლიცისტობა იმაში მდგო-
მარებობს, რომ ყველაფერი და ყველანი გაკიცხო და
აუგო, და ისიც აელაბრის სირაჯივით გამომდგარა
და კიცხავს და აუგებს ბრალიანს და უბრალოს,
მრუდა და მართალს. ასს მღვდლებში ერთ
მღვდლის არ სოელის ღირსეულად და მასწავლებლებს
კიცხავს, რომეცკლებიაში არ დაიარებიან შაგირდებთან
ერთად. თუ მღვდლები არ არიან, ვისგან უნდა
მოისმინონ მასწავლებლებმა წირეა?!

არ იფიქროთ, რომ მაჩხანელის სიტყვა-ქადაგება
პირებით თქმულობა იყოს. გარწმუნებთ, რომ შემ-
დეგ ათის წლისა მაჩხანელის სიტყვებს გაიმეორებს,
რასაკეირუელია გადაკეთებულს, რომელიმე მუკუზნე-
ლი ანუ მელვრეკელი და იმდენ კედლს დააჩენს
საზოგადო ცხოვრებაში, რამდენსაც დააჩენს მაჩხანელის
ნაჩხაბავი...

სოფლის მღვდელი.

მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ.

(მეორე საუბარი).

ნეტარ არს კაცი, რომელმან შეი-
ძინა სიბრძნე და მოიპოვა გონიერება.
ამათი მოხვეჭა არის უმჯობეს ვეტ-
ლის მოხვეჭისა და მოგეხა მათ—
უმჯობეს ოქროს მოგებისა. სიბრძნე
უძვირეს არს ძვირფას თვლებზე, და
კაცი იმის შესადას ვერარას მო-
სურვებს.

სიბრძნეს მარჯვენა ხელში აქვთ
დღეგრძელობა, მარცხნაში კი სიმდი-
დრე და დადგება. გზა სიბრძნისა სა-
მერია და კვალი მისი სამშვიდობი.
იგავნი სოლომონისნი.

ვინც მთლათ ერთიან არ მისცემია შეცნიერებას,
ის ვერ წარმოიდგენს, თუ რამდენათ იგი სულისხამ-
დებელი და მაფერადებელი ჩვენის ცხოვრებისა. დღ-
დათ ცდებიან ისინი, რომელთაც ჰონიათ, ეთომ მე-
ცნიერება ერთი მშრალი, სანქლო და პროზული რამ
არის. თუ მთლათ რომელიმე შეცნიერება არა, იმისი
რტოები და მისი შემადვენელი ნაწილები მაინც იძ-
დენათვე გასავებია ჩვენთვის, რამდენათაც მახალისე-
ბელი და სანუკელი. სამეცნიერო სიტყვები, პირუ-
ტყეთა სამეუფოს მოდემათა აღწერილობა, დარიგრი
გბა შეცნარეთა და მისთანები ისეთივე მნიშვნელო-
ვანია შეცნიერებაში, როგორც ლექსიკონები მწიგ-
ნობრიბისათვის. უცველია, რომ ძველებური ზღა-
პარ-თქმულობანი, როგორც, მაგალითად „ოქროს-
მატყულოვანის ეკრძისა“, „მიჯაჭვულის ამირანისა“,
„როსტომ ფალავნისა“ და სხვა მრავალი ხალხური
ზღაპრები, თუ ისინი სწავლულობის შუქმოფენილნი
არიან, მთლათ ერთიან ჰყარგვენ თავისს პოეტურ
მომხიბლაობას. მაგრამ, ნაცვლათ ამ პოეზიის სურა-
თებისა, განმარტება და შეგნება ბუნების მოვლინე-
ბათა გაცილებით უფრო საკეირველი და გულ-გონების
გამსჭვალავნი არიან. ამაში უფრო აურაცხელი პოეზია,
შევრიცება და პარმონია სუფეს, ვიდრე იმ პოეტურ
სურათებში, რაიცა დაუხატავს და ჩვენთვის გადმოუ-
ცია იმ კაცთა, რომელთაც არცა რა მეცნიერული
ცოლნა ქონებიათ და არცა რა გონებითი განვითა-

რება. მეცნიერება თავისს აუსარებელს მოვლინებათა
განმარტებებში აღსაესა საკეირველებით და ფერად
სახოვნობით, როგორც თვით საგრძნეულო ზღაპარი.
შხოლოდ ვანსხვაება ისაა, რომ მასში ხორცებესმულია
სინამდვილე, ზღაპარ-თქმულობაში კი მოგონილი.
ჩვენს ღრმას ზღაპრებით გონების საზრდოობა გონე-
ბის დაქვეითებაა, როცა ბუნების კარი გახსნილი და
ღიაა ცველასათვის.

ბოტანიკა (მცენარო-მეტყველება), მაგილით.,
ბეკრინი თვლიან მშრალ საგნად. თუმცა ჩვენ კი შე-
გვიძლია, აღტაცებაში მოვიდეთ უვარილ-ხეების შევ-
ნებით ბოტანიკის უცილნელათაც, მაგრამ ეს აღტა-
ცება იქნება შხოლოდ წუთიერი და ზეწარებითი.
ბოტანიკი კი რომ გაისეირნებს ტყე-მინდორში, ამ
თავისებურ 『საგრძნეულო მაღარში』, ეს სულ სხვა.
— მას ყოველ მხრით ისე მხიარულათ მოვებებიან
მისი ნაცნობი ფერად-ფერადი მეგობრები და ისე
ერთმანერთს ასწრებენ მოუთხრან რამ უცხო ამბები
მეცნიერს, როგორც მოყარულს და ახლათ შინ
მოსულს მშობელს მისი პატია შეილები ექლურტუ-
ლებიან შინაურ ამბებს.

როგორი საოცარი რამ არის, მაგალ., ჭეშმარი-
ტებანი, აღმოჩენილნი ვარ სკელავთმრიცხელობისაგან.
ასტრონომი (ერსკელავთმეტყველი), იკვლევს რა
გატაცებით ღამით მყუდროებაში ცის მნათობებს,
მათს მიმოსრბოლას, მათს მიმოშიცველობას და
ერთმანერთთან დამოკიდებულობას, ბალოს იგი
მკვირტბლის მათებატრუქუს გააგარიშებით გვიწი-
ნასწარმეტყველებს ათასს წელს შემდეგ რა ერსკელავი
უნდა გამოჩდეს ცის მარჯანს, რა ციური სხეული
რა ნიეთაერებისაგან შეძღვარა, რა ცვლილებაში
ვარდა რომელი მნათობი და რა პერტრუქაცია (მი-
მოძრულება) მოხდება მათ შორის. გამსჭვალული
ციურ მნათობთა საოცარის ძალებით და პარმონით,
დავით წინასწარმეტყველი ღალადებს: „ცანი უთხრო-
ბენ დიდებასა ღვთისასა, და ქმნულთა ხელთა მისთასა
მიუთხრობს სამყარო“. დიდებული მათებატრუ
ნცუტონი, მიმწლომეთი ცის მნათობთ მიმოშიცველობის
წესისა, როცა მასთან ღვთის სახელს ახსნებდენ,
მაშინვე ფეხზე წამოდგებოდა და მოწიწებით ჭუდს
მოიხდიდა. განა ზოგს უმეტას მორწმუნეს შეუძლია
დაიჩიმოს ისეთი შევნებული სარწმუნოება, როგორიც
ჰქონდა ნცუტონს? ბუნების საიდუმლოთა მკვლევარი

დგას იმ სიმაღლეზე, საითგანაც მას შეუძლია ნათელი თვალით განიცადოს მსოფლიო შემომქმედისა, განს-ჭრიტოს წარსული ცხოვრება კაცობრიობის და «ცნობითა ზემხედველითა» შეფრთინვიდეს აწყოს, წარსულს და მომავალს. ეინც კი მარტო აწყოთი ცხოვრობს, განა ის ბერით დგას პირუტყვზე მაღლა?

ბუნებითის იატორის შესწავლა, ცხადია, ნელ-ნელა გაანადგურებს ეინს ნადირობისას, მეომრობისას და მის გვარს სავრჩევიშოებს. რაც ჯერ კიდევ ვერ ამოიფხერა კაცობრიობაში ამდენის საუკუნის განმავ-ლობაში. ეს ნადირობა და სისხლთ მღვრელობის წყურვილი, უჭველია, ეკუთვნის იმ დრო-ეამს, როცა ადამიანები ცხოვრობდნ მხოლოდ ნადავლით და გარეულ მხეცებზე ნადირობით. აქლა ვხედავთ, რომ ნადირის ხორცი თანდათან იშევითდება. აღრინდელი ნადირების ხსნებაც კი აღარსაღ არის, დარჩენ სანა-დიროთ ყურდლები, მელები,... ზოგიერთა ფრინვ-ლები. მაგრამ, რაკი ესენიც თითქმ-ს გადაშენდენ, ახლა დაიწყეს ჩელორნურათ ნადირო მოშენება, რომ დრო და დრო დაწრიონ მათ, ალიტონ და მით მოიკლან ძველებური ინსტიტუტი ჟანი. სწავლულები, რომელთ რიცხვი დღითი-დღე მატულობს ამ წინაპრელს ეინს იმითიღა იურებენ, რომ ფატურენ სხვა და სხვა ცხოველებს და მწერებს მათის აგებუ-ლობის გამოხაკვლევათ.

დიდძალი უშეფუძნობა ადამიანებისა კი ბუნების მოვლინებებს ისე შეუგნებლათ უკურებს როგორც მცენარეები და პარუტყვები. მათ ფრინველები იზი-დავს მხოლოდ როგორც პატარა ბავშვებს; თავს იქცევენ ზედ, ან გემოს უსინჯვენ, როგორია საჭმე-ლათ. გარნა ჩვენ იმედი უნდა გოქონიოთ, რომ თან-და-თან შევეცხრებით იმ დროს, როცა სიყვარული მეცნიერებისადმი ისე გაგვისი ხლ-ხარცება, რომ ბუნების მოთხოვნილებად გადავიცევა ჭ შევევემნება იმ სამუსიკო ნოტებად, რითაც ჩვენ გამოვიტანთ ბუ-ნების სიმებითგან უნარნარესს ჰანგებს. მაშინ ბუნება გახდება ჩვენის გონების საუნჯის წყაროდ. ბუნება გვიწვევს ჩვენ, პოეტის სიტყვით „იმ დიდებულ ტა-ძარში, რომელიც გვაოცებს თავისის სიდიალით, სადაც გაუქრობელის სინათლით კაშაშებენ ბუნებრივი ლამპრები, მგალობელთ გუნდად არიან ზღვას ქარი-შელები და ღელვანი და მღინარე-ჩაკადულთ დუდუნ-ჩქრიალი, ორლანოდ—ქუჩილი და გუმბათად—ცის

მარჯანი“. მშორე პოეტი გაოცებით დაღადგება: „, ლმერთო, ვინ მიწვედეს შენგან ქმნილს, მისს ფერ უფალავ შევნებას! სიბრელეს აქრობ ნათელით, სიკ-ვდილით ბადავ ცხოვრებას“.

იქ, სადაც შეუჩეველი თვალი უფრის დამკე-რისა ხედავს მხოლოდ ლაფთა და ტალახს, მეცნიე-რება აღმოაჩინებს საკირველ რასმე ნიითხა და ძალას. აი, თუნდ ქუჩის ტალახი. იგი, ვხედავთ, შესდგება თიხისა და ქვისაგან, საჯისა და წყლისაგან. მაგრამ მას რომ ქვიშა გამოაცალო და ერთგვარათ შეცვალო მისი ხიმსალები (ატომები), იგი, ბუნებითის თეისე-ბისაებრ, გადიქცევა ძირფას ქვად, რომელსაც უძახიან ცისნატეს, ანუ დანაკას. თიხა რომ გამოაცალო, ეს ტალახი გადამუშავდება საუცხოვო თეთრ ფაიფურად, რისგანაც ძირფას ჭურჭლებს აკეთებენ. შემდეგ, თუ კიდევ გასუუფთავე და გამოახურევე, იმისგან კეთდება საფირო (ძერფასი ქვა). ბოლოს, წყალი მისი, და-წმენდილ-დანკარებული ხდება ცურის წვეთად, ანუ ბროლდება. შევიტერ ვარსკვლავის სახედ.

მეორე მაგალითი ავილოთ—ქალალდი. უმეცარ კაცს ვერ დაჯდერებ, რომ ის თეთრი თოვლივით ქა-ლალდი კეთდება ქუჩაში ნაყარ ძველ-ძველ ტილოების ნაგლეჯებისგან.

ის კი არავინ იფიქროს, ვითომც მეცნიერება მარტო გასართობი რამ იყოს მოცლილობის დროს, ანუ კიდევ მხოლოდ ზემოხსენებულ ნივთების კეთებას ესწრაფოდეს. მეცნიერებას ეს თავის-თავათ, გზა-გზა მოსდევს. მეცნიერული განათლება მიუკილებელი და საპატიო საჭიროებაა თვითეულის მოაზრე და მუშა კაცისათვის, როგორც გონების, სულის საზრდო. აი როგორ განსახლერებს ინგლისის საერო განათ-ლების კამიტეტი სამეცნიერო განათლების მნიშვნე-ლობას: „, მეცნიერება ამკვეთრებს განათლების ნიჭს, რომელიც პატარობით თვითეულს აღმიანში ბუ-დობს ჩანარჩინის სახედ; მეცნიერება აჩვევს ახალგაზღდებს მოელინებათა მიზეზის და შედეგის კვლევას; იგი ავი-თარებს და აბავლებს მათში აზროვნობის ნიჭს; იგი არის საუკეთესო წამქეზებელი გონებით საქმიანობაზე ნახევრათ განათლებულ კაცთა, რომელთაც სჭირო დამღუბავი სიზანტე აზროვნობისა. ესენი ძალიან ერიდებიან ტვინს ამუშავებას, თუ ეს შუშაობა მე-ქანიკური არ არის, როგორც მავალითათ ცარიელი დახსომება ფაქტების განხოგადებას და დასკვნებს მოკლებული. ერთი რომ ღრმათ დაუკეირდე მეცნი-

ერების დიდებულობას და გაითვალისწინო პირველ- ყოფელი დროები, სიკრცის განუსომელობა, ბუნების კანონთა დაურღვევლობა, მსწრაფლი ჩვენი წერილ- მანი, დღითი-დღიური საჭიროობრო ზრუნვები მტკე- რივით განქარდებან. ამით ჩვენ გვეძლევა შვება სულია, აღვრთოვანება გულ-გონებისა, რის შემთევ უფრო მარჯვეთ გვრცებთ ხელს დღიური გარამს და პრაკტიკულ სამუშაოს, თითქო გადახალისებულნი.

ერთმანეთოვეორშა აი რა თვალსაჩინო სურა- სით დასხა ბუნების და ცაოცრების კანონთა შესწავ- ლის საჭიროება. „წარმოიდგინეთო, თქვა მან, ვი- თომც თვითეულის ჩვენგანის კეთილდღეობა დამოკი- დებულია ჭადრაკის თამაშის მოგებ-წაგებაზე. მაშინ ყოველი ჩვენგანი თავესს საღეთო მოვალეობად და- ვიდებდით შეგვესწავლა ეს თამაშობა, თუ ზედმიწევ- ნით ეკრა, თვითეულის პაიკე სახელი და მსელე- ლობის წესი მაინც. უფრესია, რომ ჩვენ ძალიან გავკრხავდით და რეგნებათ ჩავთვლიდით იმ მწობ- ლებს, რომელიც არ ჩავთვლიდება თავიანთს შევლებს და იმ მთავრობას, რომელიც არ დაუკანონებდა თა- ვიანთს ქვეშეტრლომებს, ჭადრაკის შესწავლას. ახლა ასე გახინჯეთ: იმაზე უმარტივესი და საძირი კეშ- მარიტება კიდეველა იქმნება, რომ კეთილდღეობა და ბენდინება კერძო აღმარისისა და მთელის ერთა პირდაპირ დამოკიდებულია წეს-კანონთა ცოდნაზე იმ თამაშობისა, რაც ჭადრაკის თამაშობაზე ბეჭრათ უფრო რთულია, ძნელი და განმავითარებელი, ეს ის თამაშია, რომელშიც უხსოვარის დროითგან ჩაბმულნი არიან ქალი და კაცი და თაბაშობის წესია კი არა გაეგებათ რა უმეტესობას. ჭადრაკის ფიცრად ამ თა- მაშობაში დაესახოთ ქვენი ინება, ფიცრუებად— ბუ- ნების და ცხოვრების მოელინებათა კანონები, ჩვენს მთავრდაპირების ის თსტატი ხელოვანი, ჩვენგან უხი- ლავი პირი, რომლის სავალები მუდამ სწორი და უკრთმელია. ვიცით აგრეთვე, რომ ის ჩვენი მოკა- მათე შეცომას არ გვაპატივებს და ულმობელათ მო- კეყრობა ჩვენს უჟიცობას. ვინც დახელოვნებული მოთამაშეა, ჯილ დოებსაც ის ილებს და ვინც თავხე- დათ და უგულისხმოდ თამაშობს, იყი წაგებული ჩემება და არ დაზოგვენ.

(შემდგარ იქნება). ამ მათე შეცომას და ულმობელათ მოთამაშეა, უმცირესი იყო არ დაზოგვენ არ დაზოგვენ.

ს ნ დ რ ი ს პ ი რ ვ ე ლ - წ რ დ ე ბ უ ლ ი .

ისტორიული პოემა *).

ყვიდ თავას ჭ შვიდ ხელას
ქართლის გამომსახველად
ბოჩო კერპის აღმერთებდენ
ჩვენი მამები ძველად.

ჰერნდათ შიში ჭ რიდი რიდი რიდ
ქანდაკის ძღიერების
ჭ სიტუებიც სჯეროდათ
მისის ქურუმ ბერების.

როცა ქურუმი ვისმეს
დასდებდა რამე ბრალებს,
მაშინ ბოჩოც მრისხანედ
უკვრიალებდა თვალებს;

ხან მუცლით იძახოდა,
ხან დაქნევდა თავსა;
ჭ თავალებით მოჰქევდა
ხალხი ამ სანახავსა.

მსხვერპლი მსხვერპლზედ მიჰქონდათ,
გულათ ეველრებოდენ!..
ბოჩო ბოჩო რჩებოდა...
ქურუმი მსუქედებოდენ.

მრავალმა საუკუნემ
განვლო შეურუცველად, არ მოიწერ ზა-
არგის ბოჩოს ღმერთობა
არ ჰერნდა საეჭველად.

სანამ არმაზ-ძღიერი,
სპარსეთით გადმოსული,
არ შეუტაცა ბოჩოს
უზომოთ გულ-მოსული.

მისის თანა-ღმერთებით
მოედო საქართველოს;
მაღალ მთებზედ აგებდნენ
ბომონებს სამლოცველოს!

ერთი სამცხის გორაზეც
იყო ამაღლებული

*) ეს პოემა გადმიგდა ჩვენ პ. აკაკი იმ დროს, როცა
ჩვენი გაზითი ახალი დაასახელდა უკან. იმ დროს მეოთხეულუ-
ბიც ცოტაც გვაძლევა და დასახლები კი გვერდისა სუს ამ პოტის
წაკითხვა; ამიტომ ხელად გემჭდავთ ამ პოემას ჩვენს გა-
მოცემაში თანახად ზოგიერთის სურველის.

დ მისი ქურუმებიც მისი მისი მისი
თვალთ-მაქცობით ქებული.

ანბობდენ, რომ «მათ სადგურს
გარედან კი ვხედავთო,
მაგრამ შიგ ფეხის შედგმას
შიშით ვერა ვხედავთო,

რადგანაც ავსილია
მადლითა ჭ ძალითო
ჭ ჩვენ იმ საიდუმლოს
ვერ ვინილავთ თვალითო;

მხოლოდ გვესმის შიგნიდან
რაღაც სმაურობაო,
თვითქოს ღმერთებს უკველ-დამ
აქვთ საღმრთო სტუმრობაო».

მართალის ანბობდა ერი,
ესმოდათ დამით წები,
მაგრამ ღმერთების ნაცვლად
ილხენდენ ქურუმები!

ერთხელ ჩვეულებრივად
სუთრა იყო გაშლილი;
გარს უსხლენ ქურუმები
სანოვაგით ავსილი.

რაც იმ დღეს კერძებისთვის
შეეწირა ერს მსხვერპლად, რეცენტ
რიგ-რიგისათ დაეწეოთ
ის სუთრაზედ უკლებლად.

სჭამდენ შეძლეოდენ
ერთად გულ-მადიანად; და და და
ზედ ღვინოს აყოლებენ
იმდერდენ ტკბილ-ხმიანად.

ერთმა მთავარ-ქურუმა
კათხას მოავლო ხელი
ჭ უთხრა მერიქიფეს;
,,მოიტა ძველის ძველი

ჭ პირამდე ამივსე
ჩემი კახა რჩეული!..
ვინც რომ არ გამოსცალოს,
იყოს წვერებ წყეული.

მჭვირვალი ლალის წვერი
სულ-ხორცივით ტკბილი!..
სიმართლეც ამშია...
ხხვა სულ უვლა ტუვილია!..

შენთანა ვარ ზარფუშო!
ნეტავ რათ მოგშევნია?
სანამ ქვეუანა ბრმაა,
ეს სოფელიც ჩვენია!

შესვი, გამირიანულდი,
არ გადაჭევე ღცნებას
ჭ მით არ უდალატო
ქურუმთა მაღალ მცნებაც!»

ზარფუშ ერქვა ერთს მათგანს
შემახეანეს კერპების;
ის იყო სიქადული მაგრამ მარტო მარტო
ჭ სიმტკიცე იმ კრების
სამანქანო მის ქცევას
ვერ ასწრებდა ვერვინ თვალს;
უჩინრად მოქმედობდა
არ სტოებდა გზა ჭ გვალს.
შემო ქურუმთა უხუცესის
იყო მარჯვენა ხელი მიგვადგინოდ
მისი მესაიდუმლე, და დამუტერებოდ
მისი თანამძრას ველი

ჭ ამან სოქვა პასუხად:
,,ქურუმთა უხუცესო, და და და
განანია ის ჩვენთვის, და და და
რაც უნდა დაგვიწესო!

რაც ბრძანეთ, უკელამ ვიცით,
არის ჩვენი ხელობა, და და და
მაგრამ კვმართებს ხან-ჭ-ხან ირულო
წინა-გამჭვრელელობა.

ვა თუ ჩვენს დიდებას და და და
ერთხელ ბოლო მოედოს და და და
ჭ ჭ რაც დღემდი კმარობა, და და და
ერს აწ ის აღარ ეუს. და და და
და და მართალია ბორიზედ და და და

მან გული აიყარა, და და და და
მაგრამ გულ-მურვალებით და და და
ვერც არმაზს შეეუარა. და და და და
ასე ანბობს: „რომ ბორი მებ და და
არ გამოდგა ღმერთიო!..“ და და და

ეგებ მეორეც სტურა, და და და და
თუ სტურდა ერთიო!..“ და და და
ეჭვი ერს გვიორგელებს;

შემცირდა სამსახური,
რაც ჩვენს სასწაულებს
შეაჩვიეს თვალ-ური.



დღი არის გამოვსცვალოთ
ჩვენის სურანი საგანი წერ და ის და მა და
შე უჩვეოთ ერს რამე და და და და და და და
უჩვეული მანქანი!“

ამ სიტუამ მაშინ მომდებარება არ არის მაშინ მოელი კრებული
შე ერთმანეთს უმზერდენ
ცუდათ ჩაფიქრებული.

მხოლოდ მთავარ-ქურუმი არ იმჩენვდა ამ სიტუაციას;
აგდებულის დიმილით უჟურებდა განზედ სხვებს.
მომების რეგენაბა,
თვითქოს ერცხვინებოდა
შე თანაც მათ სითორთხილეზე
გულით ეცინებოდა.

მერე სთვა: «თქვენი ბრალი! რა ცოტა
რა ცოტა შედ სწერართო, ისევ გამხიარულდით,
მოწყენილი ნუ ხართო! ულოდნელმა სიტუაციამა,
როგორ დაგადანათო? მაგას მე არ ვფიქრობდი,
განა თქვენ გეგონათო?

მაგრამ ადვილი არის
მაგის გასწორება
შე მაგისთვის მანქანი
სულ არ მეჭირვებაო.

თვალი არის ამ სოფლიდ
გაცის მოქმედებაა:
შედი-შედ რასაც ნახავს,
უცელა მოსწურილებაო.

ნახელი აქვს სუსელას
ჩვენი სასწაულით რა და რა და რა
შე რადას გაიკვირვებს
ერთხელვე ჩვეულით?

მაგრამ მე სულსხა-გვარად
დავიმონებ ერთა,
დაუდებ გამოცანას
მის ჰერის საფერსაო.

გაზილი მყავს, თქვენც იცით,
საოცარი გველით,
არ ვინ არის გარეშე
იმისი მნახველით.

შემოვახვევ სამსხვერპლის
ცხოველთ მყლაბა ბუსო
შე ურჩის ჩვენის ნებისას
ის ასწავლის ჰერისო.

მის უცნაურ გაჩენას ცემოთ ძრავით
ლმერობის ლა-ბრა-ლებო
შველებს მსხვერპლად მოვითხოვ,
მომბლების გავამწარებო.

შე როცა სინაუზში
ჩაგარდება ერთო,
მხოლოდ მაშინ გაქრება
გვილიც მათი მტერიო“.

სიტუაციი მაღამოთ
გულში მოხვდათ ცბიერებს,
შვებით აცმაცურებდენ
უფაშებსა შე წერებს.

მადლის შე ქებას უძღვნიდენ
მოხერხებულ უფროს მას
შე ეძღვოდენ ისევ უზრუნველყო
უზრუნველყო ჰამას შე სძირ.

(დასასრულ შემდეგში)

ახალი ამბები და შენიშვნები.

ქუთაისის საფილოქსერო დასის ექსპერტმა
ბ. ვ. ა. სტრაროსელის გიორგი ჩვენ გვთხოვა
ეცემ მოყვანილი განცხადების დაბეჭდი გაზე-
თში იმ იმედით, რომ მრევლის მღვდლები წაუ-
კითხვენ და გააცნობენ თავიანთ მრევლთ ამ გან-
ცხადების შინაარს. ვასრულებთ ბ. ვ. ა. სტრა-
როსელის თხოვნას და სრული იმედი გვაქვს,
რომ სამღვდელოება, რომელიც მუდამ ხალხის
კეთილდღეობაზე ზრუნავს, აუხსნის და განუ-
მარტინებს ხალხს ამ განცხადების შინაარს. ამა-
თანავე ჩვენ გაზეთთან ერთად ვეზავნით ၅-၆
განცხადებას ხალხში გასავრცელებლად.

«ქუთაისის საფილოქსერო დასის ექსპერტი საყოველთაოდ აუწყებს ბატონთ ვენახის პატრიონებს, რაოგორ ჭრისაგან საწამლებლად პირველი ვაზების მორწყევა (სხურება) ბორდოს წამლით აუცილებლად უნდა გათავდეს თორმეტ მაისამძინ.

მომზადება ბორდოს წამლისა (სითხისა).

აღდეთ ერთი გირვანქა სპილენძის შაბიაშანი, გაადნეთ ერთს დოქს ცხელს წყალში და ამგვარად გახსნ იღია შაბიაშანი ჩასხით რომელსამე დიდს ჭურჭელში—ჭურში ანუ დიდს ქვაბში. დაასხით ზედ ერთი ჩაფი ცივი წყალი, მეორე პატარა ჭურჭელში ჩაგდეთ ნახევარ გირვანქა ქვა-კირი (დაუშლელი) და ზედ იმდენი წყალი დაასხით, რომ კირის ულ მთლად დაფაროს და ერთი-ორის თითის დადებაზედაც ზედ შემოადგეს.

კირი გაცხელდება და დაიშლება. ორს საათს შემდეგ კარგად გათქვიფეთ კირის წყალი. გაციებული კირის წყალი ნელ-ნელა ჩასხით შაბიაშანის წყალში, კარგად აურიეთ და აგრე დასტოვეთ რამდენსამე საათს.

ეიდრე ამგვარად მომზადებულს წამლის მოსარ-წყალს (სასხურებელს) მაშინაში (მანქანაში) ჩასხამთ, ჯერ კარგად აურიეთ.

ერთის ქცევა დაბლარის ვენახის მორჩენას აირადენი წამალი უნდება:

პირველ	მოსარწყავად	10—20	ჩაფი
მეორე	>	14—15	"
მესამე	>	14—15	"
სამჯერ	მოსარწყავად ერთს ქცევა დაბლარს ვენახს მოუნდება:		

შაბიაშანი 38—42 გირ.

ქვა-კირი 19—21 >

წამლის გასაკეთებლად საუკეთესო შაბააშანი უნდა ამორჩიოთ. ვენახის პატრიონი უნდა ეკადოს, რომ ვაზის ფურცლებზედ ყოველთვის წამლის წინწკლები ემჩნეოდეს.

ვისაც ჰსურს უფრო დაწვრილებით დაესაუკეთესოდ შეისწავლოს ვენახის მორჩენა და შეიტყოს ვერ ახის წამლის ყოველივე გარემოება, შეუძლიან მიმშვრომის ამერიკულ ვაზის, მაშენ ების სადგურს, ზესტაფონს ახლო.

ამ დღეებში უმართებელებმა სენატმა განშარტა, რომ კუცეასის სახელმწიფო გლეხებს ნება აქვთ თავიათი სახელმწიფო ნადელები იჯარით გასცენ ხოლმე ადგილობრივ სახელმწიფო ქანებათა გამგეობის დაუკითხავადა.

* *

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ რკინის გზის ეაგონებში ადგილი არ არის მეზარებისთვის. ამას გამო მთავრობას განზრაპეა აქვს, რომ ეაგონებში ადგილები ნომრებით იყოა. რომელ ნომრის ბილეთსაც იყიდის მეზაერი, ეალდებული იქნება ის ადგილი და იჭიროს. ამას გარდა მთავრობას განზრაპეა აქვს, რომ რკინის გზის ბილეთების ფასი შეამციროს.

*

როგორც მკითხველებმა იციან, ამერიკის ვაზი ერთ-ერთი საშუალებაა ფილაქსერასთან ბრძოლის საქეში, ხოლო ამ ქვეწის ვაზის ჯიშები სხვა-დასხვა თვისტისანი არიან, ყოველ მიწა-წყალს და ჰავას ერთნაირად არ ეწყობიან. ამას გარდა, ყოველ ჯიშის ვაზედ ერთნაირად და ერთი და იგივე ვაზის მყნობა არ შეაძლება. ამიტომ საჭიროა ამ ჯიშების გამოცდა ჩვენში. ამ აზრით დ. ყვირილაში დაარსებულია საფილაქსერო კომიტეტისაგან ამერიკის ვაზის გამოსაცელი ენაზი, აგრეთვე წინამდებრიანთკრის საშეუზნეო სკოლაშიაც ამრავლებენ ამერიკის ვაზს, სკუდიან ამ ვაზს და მყნობის სხვა-და-სხვა წესს. ამ სკოლების დამარსებელმა, ბ. ი. წინამდებრიშვილმა დაიბარა საფრანგეთისგან, მონპელიედან, იქაურის სამეურნეო სკოლის დირექტორის შემწეობით, ამერიკის ვაზის თესლი და წარსული წლის 7 მარტს უკვე მიიღო კიდეც 500 გრამი ჰიუპესტრის (rupestris) და 300 გრამი სოლონის (Solonis)-ის ჯიშებისა, სულ ორი გირვანქა თესლი, რომელიც დაჯდა სულ 10 მან. 72 კაპ). წარსულსავე წელს თესლი დაითვის განვებ მომზადებულ ალაგს სკოლის ფრიმაში და წელს ახალშენში გადარგეს ორი ათას ხუთასი ნორჩი ძირი ამერიკის ვაზისა. წელსავე აპირებენ ამ ვაზებზედ ადგილობრივ ჯიშების მყნობას. როგორც იგარებს ჩვენში ამერიკის ვაზი და რომელი ჯიშიც უკეთ იმყნობა, ამაზედ მკითხველს თავის დროზედ მოვახსენებთ. («ივერია»).

სახელმძღვანელო, საქართველოს საჭირო და სასამართლო ცნობათა განცხავილება.

დ ს რ ი გ ე ბ ს

მხედველობის შენახვასა და ოფაჯების მოვლაზე.

როგორც ოფალის ექიმი, მე ხშირათ ვიძლევი ჩემევეს თვალების მოვლაზე. ამასობაში არა ერთხელ დაფრწყნებულება, რომ ამ საგანზე პირველ დაწყებითი ცნობებიც კი ნაკლებათ მოვპოვებათ ოფიციან განათლებულ პირებსაც. ამისთანა დაუდევრობა მხოლოდ იმითი თუ ისტნება, რომ მხედველობის მოშლა, თვალების დაუზოგველობის გამო, თავდაპირველათ იწყება ნელ-ნელა, და, კაცს ასე ჰერი, თვალი უველავერს გაუძლებსო». თუ დიდებმაც კი არ იკინა, რა ენებს და რა ჰრებს თვალებს, მაშინადა გაუმტკუნოთ ბაეშენებს? ამათ ხომ ათასობით უფუჭდებათ თვალები, თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ ნამდებილათ, და დღითი-დღე.

მხედველობის დასაცელად ორგვარი ზომებია: პირველი მდგომარეობს იმაში, რომ აიცდინონ ყველივე თვალების დამზინქშელი მისქენები სტედა-და-სხვა დაწესებულებებში, საცა ხალხი ბლომათ იკრიბება (მეტადრე საწავლებლებში და პანსიონებში). მს მეუფროსეების საქმეა. მეორეს — კერძო ზომას — შეადგენს თვალების რიგინი მოვლა შინაობაში, ოჯახში. მაგრამ ამ მოვლისათვის საჭიროა იცოდე მეტნერების უმთავრესი მოთხოვნილებანი, თვალების სისალის შემნახვი ზომები. აი ამ ზომების ასახსნელათ არის დაწერილი ეს დარიგება. მე ავირჩივ ამ ნაირი დარიგებითი ფორმა იმიტომ, რომ ამისთანა განხილვაში უსაჭიროესი, მოკლეთ გამოთქმული ცნობები, უფრო ცხადათ ამასსოენ დება კაცს. ამის გულისთვისვე ეს ცნობები, თავისთავათ დაცალ-ცაკებული, დალაგებული არიან განსაზღვრულის თანისთანობით და ჯგუფ-ჯგუფად.

ამ სტატიას რომ ესწერდი, მე მკითხველებად მეგულებოდა ისეთი პირები, რომელთაც უკვე მიუღიათ

ცოტაოდენი საზოგადო განათლება მაინც და ამიტომ ვცდილობდი გამომეოქვე მოკლეთ, გარეშე ყოვლის ერცელის განმარტებისა. მაგრამ მდაბილ ხალხისთვის ამისთანა რჩევების უმეტესი ნაწილი, თუნდაც დაწერილებით გამოთქმული, ნაკლებათ გასაგები დარჩება, ნამდვილათ რომ ვთქვათ. მე იმედი მაქსი, ამ ცნობების ხალხში გავრცელებას დაეხმარებიან ის პირები, რომელნიც მასშივე ტრიალებენ: მღვდლები, მასწავლებლები, ფერშლები და მისთანები. ცოტალი სიტყვით, პირადის ზედმოქმედებით, ისინი გადაცემენ უსწავლელ კაცს მწიგნობრულ ენა-კილოს და ამ გზით ისინი გადაარჩენენ არა ერთსა და ორს უბედურ აეთმოვთს, რომელნიც ხშირათ კარგავენ მხედველობას რომლისამე ცრუმორწმუნეობის წყალობით, მხოლოდ უგნურობით, რომ არ იცაან, რა აკლებათ.—

მჭევრმეტველნი აქებდენ თვალს, პოეტები მას აღამგიბდენ, მაგრამ თვალის სრული დაფასება გამოიხატება გამოუთქმელ მწუხარებაში იმ საბა-ლოთა, რომელთაც იგი ერთხელ ქ-ნიათ და დაუგარებავთ.

ალბრეხტ ფონ-გრევი.

I. თვალების მუშაობები.

(შეცალინების ხანგრძლივობა. ხშირის დასვენების შეცილებები. მანძილი სამზერ საგანსა და თვალებს შეა. წერილი სამუშაო).

§ 1. ადამიანის სწორე და სალი თვალი ისეა მოწყობილი, რომ, თუ საგნები კარგათ განათებულია, მას გაუჭირებლათ შეუსალია მარი განხილვა საკართველოს მანძილზე. ახლო მდებარე საგნების დასანახავათ საჭიროა თვალების დაცემება, მათი ამუშავება, რისთვისაც თვალის შიგნითა და გარეთა პაწაწინა კუთები უნდა მოჭიმო, მოამოკლო. ამისთანა მუშაობაში არის თვალი ყოველს, საგნის მოსახლოებელ, მეცადინობის დროს, ე. ი. კითხვაში, წერაში, წერილ ხელთ-საქმობაში და სხვ. როგორც ყოველი სხვა სამუშაო, ეგრეთვე თვალის სამუშაო არ უნდა იყოს დამღალევი და რიგ-რიგზე უნდა ასვენებდე თვალებს. უმისოთ თვალების განიადგებულს მუშაობას

მოსდექს კუთხების სამუდამო დაქანულობა. მოდშიც დაღალულობას კიდევ მოჰყვება მათი ავათმყოფობა: თვალების დასისხლიანება, მხედველობის დასუსტება და სხვა სატკიფრები.

§ 2. მუშაობა მით უფრო საძნელოა თვალებისათვის, 1) რაც უფრო ხანგრძლივია იგი; 2) რაც უფრო თვალთან ახლოა გასახილავი საგანი; 3) რაც უფრო პატარია, წერილია ეს საგანი.

§ 3. თვალების ხანგრძლივი მუშაობის დროს, ფრად სასაფეხლას მუშაობის შეწყვეტა, ასე ვთქვათ, უფრო და სახელი სასათში ჩ წამით. ამ შესვერებაში ყველაფერს ისა სჯობია, თვალები დაფარო ქუთუთოებით, და, თუ ოთახშიაც გაივლება გამოიყლი, ეს კიდევ უკეთესია. ამითი თვალებს ეძლევა საჭირო დასვენება და შეღავათი, და ასცდებიან ისინი სისხლის მოწოლას, რომელიც მუშაობას მოსდექს.

§ 4. სამხერი საგანი ყოველთვის, რაც შეიძლება, უნდა მოშორებით დაიკავო თვალებთან. რაც უნდა იყოს, საღს თვალს წერილის ჩაბეჭდის გარჩევა ცხადათ შეუძლია 14-ის დიუიმის სიშორეზე. ამ წესს დიდი მხი ბენელობა აქცს ბავშვებისათვის პირველს დაწყებითს სწავლებაში: მიუტილებლათ საჭიროა, რომ მუდა უყურებდე და ბავშვებს არ მისცე ნება თავი შიიტანონ წიგნთან, ან რეველთან 14 დიუიმშე უფრო ახლოს. (დიუიმი ნახევარ გოჯაზედ ცოტა შეტია). ნამეტან ახლო თავის დაკავება საწერ-საკითხაეთან, რაკი თვალს ახლო ცერენის აჩვენებს, ყველაფერზე უფრო აღრე აბეცებს (ბეცობა ჰქონის ისეთ თვალის ტკივილს, რის გამო კაცი ახლო კარგათ ხედავს, შორს კი — ცუდათ). ბეცი, მაგალითად, წიგნს კარგა კითხულობს, ნაცნობ პირისახეს კი ვერ ცნობილობს რამდენიმე საექნის სიშორეზე.

§ 5. წერილ ნაბეჭდს წიგნს, თუ შესაძლოა, სულაც არ უნდა კითხულობდე, მეტადრე სუსტის მხედველობის პატრონი და ძლიერ ბეცი. *)

§ 6. საწერილო ხელთ-საქართველო აგრეთვე უნდა ერიდო, რაც შეიძლება. ბავშვებისთვის ხომ მაგნებელია და მავნებელი ამისთან სამუშაოები, როგორიცაა: კილოების ამოხვევა, ასოების დაკერა

(მატკა), შწერილის ძრებით ოჭეა, საბის კერვა, ქარგვა, მანქანების (კრუევების) მუშაობადა შისთანები.

საზოგადოთ, ნათქომიდგან ეს გამოდის, რომ უნდა მოსპონ ისეთი ხელ-საქმარი, რაც მიუცილებლათ ითხოვს თვალთან მიიღანო საგანი 14 დიუიმშე უფრო ახლო.

§ 7. სწავლების პირველ წელიწადს, რაც შეიძლება, უნდა შემოკლდეს წერის გაკვეთილები, რაյო ესენი კითხების გაკვეთილებზე უფრო მეტს თხოულობენ ბავშვებისგან თვალების დაძექერებას. სწავლა ძაბაზე უნდა დაუზუქმოო კითხეით, ჯერ დოღინობ ასოებზე, მერე წიგნში და ბოლოს წერაზედაც გადიყვან. ამ თანისთანობით ბავშვის თვალებს უფრო ხშირათ შორეული საგნების მხერას შეწყვეულებს, მხედველობა ნელ-ნელა უკითარდება და უმაგრდება, რაც ასე საჭიროა ახლო სამზერმეცადინებაში.

§ 8. წერის სწავლებაში ხმარება ძველათ გარეულებულის, ესრეთ წოდებულის «ადლერის» რეკულებისა, რომელშიც უნდა შემოავლო კალმით ძლიერს შესამჩნევი, პატია წინწლებით აღნიშნული, ასოები, — დღეს ცნობილია მავნებლად. ცხადია, რომ ამ წერილებზე დაშტერება, ეგებ როგორმე კალამი იმათ უსწოროო, მათზე თვალების ჩაკირკიტება, გამოწვევებს თვალების მეტათ დაღალულობას.

II. დღის და ხელოვნებრივი სისათლეზე.

(სინათლე. მკაფირ გადასვლა სინათლილების სინელეზე. შოშეტებული ბრწყინვალე სინათლე. სინათლის ნაელებობა. სინათლის მიმართულება. განათება სკოლებში. ხელოვნერი განათება და მისი თვისებები. ლამპები და სანთლები. ჩამოსაუარესებები (აბაურები).

§ 9. სინათლე ისე საჭიროა თვალისათვის, როგორც საჭმელი ცუცქისთვის, როგორც ჰაერის ფილტრებისთვის. თვალი ცოცხლობს სინათლით; მაგრამ გაღაჭარბება განათებაში დაღუპავს მას: ყველამ იცის, რომ კაშაში, ბრწყინვალე სინათლე აბრჩა-ებს თვალებს, ხანგრძლივი ყოფნა ბნელებში ასუსტებს მათ და ზომიერს სინათლისაც კი უელარ აიტანენ ისინი.

§ 10. ამიტომ უნდა მოერიდონ მკაფირს გადასვლას სინათლილების სინელეში, რადგანაც სწორეთ ამისგან წარმოსდგება გადაჭარბებული მავნე მოქმედება სინათლისა თვალებზე.

*) რომ თვალების მავნებელი დაღალულობა არ გამოვწიფოთ, ასოს უნდა ქონდეს სიმაღლე არა ნაკლებ 1, 5 მეტრიმეტრისა (ტვიფარი, „კორპესი“) საბავშო წიგნებს — არა ნაკლებ 1, 75 მილიმეტრისა (ტვიფარი „ციცერო“).

§ 11. ამ მოსაზრებით საწილ ითახში ფანჯრები არ უნდა დახურო, როგორც ჩვენში შერებაან, სრულიად მჭიდრო, უმქუირესალო დარაბებით. ეს იმიტომ, რომ სრულს სიბნელეში მოსვენებითგან გადასცლა დღის კაშაშს განათებაზე, მეტაც საგრძნობელია თვალებისთვის. ყველას სჯობია, გაკეთო ლუში ფარდები (პარუსინისა), რომელზედაც ლამის სიბნელეს ნელ-ნელა ცვლის სინათლე, თვალი კი ამასობაში აღრევე, გამოლვიდებამდე, ემზადება სადღეო მუშაობისთვის.

§ 12. იმათ, ვისაც ვერ აცდებათ ყოფნა მეტაც კაშაშს განათებაზედ (მაგ. თოვლიან მთებზე; ზაფხულის მზის სხივებ ქვეშ ხანგრძლივი დგომა და სხვა), უნდა იშვეონ დამჩრდილები სათვალეები (კუნსერვები), რომელთა შორის ყველას ჯობია ბოლის ფერები (ყიდიან აგრეთვე ლურჯ კუნსერვებს, მაგრამ იმათ ბოლის ფერები ჯობია).

§ 13. განათების ნაკლებობა სინათლის გადაჭრებაზე ნაკლებათ არ ვნებს თვალებს. მეტადრუ მანებელია სინათლის ნაკლებობა თვალების მუშაობაში, ე. ი. კითხვასა, წერასა, წერილს ხელ-საქმარებსა და მისთან ებუში.

სუსტ განათებაში თვალი ტყუილ-უბრალოთ ჯაფას სწევს, რათა გაარჩიოს იგი, რაც მას აღვილათ და თავისუფლათ შეეძლო დაწახა რიგიან სინათლეზე. მეორის მხრით განათების ნაკლებობა მუდამ განდომებს გასახილელი საგანი თვალს მიუახლოეთ, როგორც გაშინჯო იგი; ამასთანა დაახლოებას კი, როგორც ზევითაც იყო ნათქომი, პირდაპირის ეზით მჰქეცხად ბეცობამდე.

§ 14. აქითგან აშკარაა შემდეგი დასკვნა: კითხვას რომ მიადგები, მეტადრუ ხანგრძლივს, უთუოთ ისე უნდა მოეთავსო და წიგნიც ისე დაიკავო, რომ იგი კარგად იყოს განათებული; პირდაპირის მზის სხივებს მაინც კიდევ უნდა მოერიდო.

§ 15. წერის დროს კველაზედ უფრო სამარჯვეა — სინათლე მარცხნა მხრით ხედებოდეს, რადგანაც წინითგან მომდგარი სინათლე თვალებს ღალავს, მარცხნით ანუ უკანითგან მომდგარი სინათლე, კი ქალალდეს ჩრდილავს მარჯვენა ხელით, ანუ მთელია რანით.

საზოგადოთ სამარადინო სტოლი ითახში უნდა დადგა ისე, რომ სინათლე მარცხნით მოდიადეს.

§ 16. რიგიანი განათება მიუკილებლათ საჭიროა სკოლებში, საღაც ყმაწვილების თვალები რამდენისამე საათის განმავლობაში ზედიზედ დღითიდელე დასაღალუავ მუშაობაშია. ამასთან ავე ის უნდა შენიცვნოთ, რომ ყმაწვილის თვალს სუსტი, სათუთა, ჯერ გაუმაგრებელი გარსი აქვს, და ამიტომ ძალიან აღვილათ ფუჭდება მაცნე მიხეხების ზედ-მოქმედებით.

§ 17. სკოლაში, როგორც ამბობს პროფესორი კონი, თავის დღეში არ შეიძლება მოშერებული სინათლე ექსპას.

«სკოლას», როგორც გვირჩევს ქავალი, უთუოთ იმდენა სინათლე ჭიანდეს, რომ დოკუმენტის დღებშიაც გა გვასის უბნებესი კუნჭულები საჭმაოთ განათებული იყას.

§ 18. სკოლის ფანჯრები ამიტომ, რაც შეიძლება, უნდა მიქცეული იყოს სამსრულისებენ, ანუ აღმოსავალ-თასებენ, როგორც უფრო სინათლიან მსარებებისებენ.

§ 19. სრულათ კარგი საკლასე ითახი პქიან მხოლოდ ისეთი ითახს, რომელშიაც ფანჯრები იმდენათ ბევრია, რომ თვალებულის იატაკს თთხ. კუთხს ფუზტე მოდიადეს არა ნაკლებ 30 თთხ. კუთხიდ დაუძიმი ფანჯრის მინის სიფართე, ე. ი. რომ მინის სიფართე ეშესაბამებულებს იატაკის სიფართეს, როგორც 1: 5 (პროგ. კონი).

§ 20. კლასის სტოლები ისე უნდა იყოს დალაგებული, რომ სინათლე მარცხენა მსრით შემოირდეს.

§ 21. სკოლები უნდა შენდებოდეს საჭმაოთ თავისუფალ ადგილებზე, რომ პირის-პირ მდებარე მაღალი სახლები სინათლეს არ უნდა უფარავდეს მათ. იმავე მიზეზით სკოლის სახლების ვარშემო არ უნდა დარგონ მაღალ-მაღალი ხები.

§ 22. კლასების ფანჯრები უნდა იყოს მორთული ფარდებით (ყველას ისა სჯობია, თუ ნათელ-ლუში ფერისაა, ტილოსი), მეტაც ძლიერის, მზის სინათლისგან დასაფარიათ.

§ 23. კედლების შეღებულობა არ უნდა იყოს აბრჭყიალებულის და არც თეთრის ფერისა; საუმჯობესოა, რაც იგი ლუშ-ყირმიზი ფერისაა. (შემდეგი იქნება).

მიღება ხელის-მოწერა 1892 ფლისათვის ორ
კვირეულ გამოცხათა ჩართულს

„მწყემს ზედ“

ჭ

რუსულ 『ПАСТЫРЬ』-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკურგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გააკრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და სახოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გააკრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუქსია და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიაო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუკიდებელ საჭიროებას შეადგენს მათვების მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსნებულის პროგრამის აღსრულების გარდა არის— 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო 『მწყემს』-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიასა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

12 თვეით 『მწყემსი』 5 გ. | 6 თვეით 『მწყემსი』 3 გ.
— „ორივე გამოცემა 6 „ — „ორივე გამოცემა 4 „
— „რუსული „ „ 3 გ. — „რუსული „ „ 2 გ.
სოფლის მასწავლებელთ 『მწყემსი』 და თმობათ
მთელის წლით სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშეი ლების სახლებში და უფილებაში რედაქტორის საყუთარს სახლებში.

ზაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც უფილებაში, აგრეთვე ქუთაისშიც.

ზარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газетъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მიღება ხელის-მოწერა 1892 წლისათვის თვე თვე საემაწილო სურათების შეკრნად

„ჯაჭილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბაზი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფირმატისა.

«ჯაჭილზი» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსიბი, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცობრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო აზოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

შურნალში მონაწილეობის მიღება აღვითებენ ყველა ჩევნმა საუკეთესო მწერლებმა.

შურნალი «ჯაჭილი» თბილისში დატარებით ელირება— 3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნოვრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიღება:

1) თბილისში — 『წერა-კიოხვის საზოგადოების』 კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 125) და თვეით 『ჯაჭილის』 რედაქციაში ქართის კრემის სახლში (ქ. Назарова № 7).

2) ქუთაისში — ქ. ნიკოლაძისას.
3) გ თ ა შ ი — ქ. ვერცელაძისას.
4) ბათუმში — მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.
5) საჩხერეში — ყარამან ჩხეიძესთან.

უსტის აღნესი: Въ Тифлисѣ, въ редакцію
грузинскаго дѣтскаго журнала «ДЖЕДЖИЛИ»
რედაქტორ-გამომცემები ა. თუმანიშვილი — წერეთლისა.